შუალედური მონიტორინგის ანგარიში

წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზია, პროექტში _ „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“, გასული სასწავლო წლის თებერვალში ჩაერთო. ეკო კომიტეტმა შევადგინეთ სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვით გათვალისწინებული აქტივობების ნაწილის განხორციელებას, შეძლებისდაგვარად, იმ პერიოდიდანვე შევუდექით, ხოლო მათი აქტიური ამუშავება ოქტომბრის თვიდან დავიწყეთ.

ჩვენი გეგმით გათვალისწინებული პირველი აქტივობა იყო საინფორმაციო შეხვედრები, მიზნად კი გვქონდა გიმნაზიის საზოგადოებას ,თემს, გაეაზრებინა თუ რა არის კლიმატური ცვლილება, გაეაცნობიერებინა მისი გამომწვევი მიზეზები, შედეგები და გადაჭრის გზები. ჯერ კიდევ გასული სასწავლო წლის გაზაფხულში, ეკო კომიტეტის წევრებმა მოამზადეს პროექტები და ჩაატარეს ინფორმაციული ხასიათის შეხვედრები დაბალი კლასის მოსწავლეებთან.

რაც შეეხება ამ სასწავლო წელს, შეხვედრა განხორციელდა მე-7-11 კლასის მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან. იგი წარმართა ა.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორმა, 31-ე საჯარო სკოლის გეოგრაფიის პედაგოგმა მაგდა კვაბზირიძემ.

ასევე აღსანიშნავია, რომ ამ აქტივობით დაინტერესდნენ დაწყებითი კლასის დამრიგებლები და ჩაატარეს კლასის საათები გარემოს დაცვის თემაზე.

ასევე 1-6 კლასის მოსწავლეებთან დაგეგმილია შეხვედრები, რომლებსაც განახორციელებენ მე-11 კლასის მოსწავლეები , გეოგრაფიის პედაგოგის ნინო დგებუაძის ფასილიტაციით.

მეორე აქტივობა ითვალისწინებდა კედლის /ინტერნეტ გაზეთის გამოშვებას, ვიდეორგოლებისა და პოსტერების დამზადებას, მიზანი კი იყო გიმნაზიის საზოგადოებას, თემს მიეღო უწყვეტი ინფორმაცია კლიმატური ცვლილებისა და გარემოს დაცვის შესახებ. ამისათვის შეიქმნა ეკო ჟურნალისტების ჯგუფი. მოსწავლეებმა შექმნეს ინტერნეტ გაზეთისათვის გვერდი სოციალურ ქსელში, სადაც ყოველი თვის ოც რიცხვში ვაქვეყნებთ სტატიებს ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე. მოსწავლეები ამზადებენ საინფორმაციო და მამოტივირებელ ვიდეო რგოლებსა და პოსტერებს. ინფორმაცია თავსდება სკოლის კედლის გაზეთშიც. ამ აქტივობის შედეგად გიმნაზიის საზოგადოება კიდევ უფრო მეტად ინფორმირებულია კლიმატური ცვლილებების, მათი გამომწვევი მიზეზების და გადაჭრის გზების შესახებ.

გეგმის მიხედვით გათვალისწინებული შემდეგი აქტივობაა: მოსწავლეების მეტეოროლოგიურ სადგურში სტუმრობა, სადაც ადგილზე დააკვირდებიან და შეისწავლიან კლიმატის ცვლილების დადგენის გზებს. აქტივობა ჯერ არ განხორციელებულა, დაგეგმილია მეორე სემესტრში, აპრილში.

გეგმა ასევე მოიცავდა გიმნაზიაში ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტით სიარულის და ელექტრო ენერგიის დაზოგვის დღის დაწესებას, მიზანი კი იყო გიმნაზიის საზოგადოებაში, თემში, გარემოს დაცვითი კულტურის ჩამოყალიბება, კლიმატური ცვლილების შედეგების შესარბილებელი პრაქტიკული აქტივობებით. პირველი აქტივობის განხორციელება უამინდობის გამო ჯერჯერობით ვერ ხერხდება, ხოლო ელექტრო ენერგიის დაზოგვის დღე გიმნაზიაში ყოველი ორშაბათია.

გეგმით გათვალისწინებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტივობა ასევე იყო გიმნაზიის შიდა და გარე ტერიტორიის გამწვანება. ამ მიზნით 11 ნოემბერს გიმნაზიაში განსაკუთრებული დღე მოვაწყვეთ. აქტივობაში ჩაერთვნენ, როგორც მოსწავლეები, ისე მასწავლებლები და ასევე სკოლაში დასაქმებული სხვა პირები. ჩვენ ერთიანი ძალებით დავამუშავეთ მიწა, დავრგეთ ნერგები (4 ძირი ნეკერჩხალი, 3 ნაძვი, 12 ირმისრქა, 2 მიმოზა, 1 ფეიხოა, ბზები და ყვავილები.), თავადვე დავამზადეთ დეკორაცია მცენარეებისთვის და ასევე გვქონდა რამდენიმე საინტერესო აქტივობა. ამ აქტივობის განხორციელებაში დიდი წვლილი მიუძღვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიას, რომელმაც მოგვაწოდა ზემოთ ხსენებული ნერგები. ჩვენ აღნიშნულ თარიღამდე რამდენიმე დღით ადრე შევხვდით წყალტუბოს მერს და გავაცანით ჩვენი პროექტი, რასაც მისგან დიდი მხარდაჭერა მოჰყვა.

ჩვენ ასევე დავგეგმეთ კონკურსი „ეკო კლასი“, რომლის გამარჯვებული გამოვლინდება სასწავლო წლის ბოლოს, გამწვანებული საკლასო ოთახის, გადასამუშავებლად ჩაბარებული მაკულატურის და პლასტმასის ბოთლების რაოდენობის მიხედვით. გამარჯვებულ კლასს მიენიჭება ეკო-კლასის წოდება, მოსწავლეებს გადაეცემათ სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები. კონკურსი დაწყებულია, გამწვანდა საკლასო ოთახები. მაკულატურისა და პლასტმასის თავსახურების (ბოთლების შეგროვება ჩავანაცვლეთ თავსახურების შეგროვებით, რადგან დასავლეთ საქართველოში არ მოიპოვება ჩასაბარებელი პუნქტი) შეგროვება დავიწყეთ ოქტომბერში და ჩვენდა საბედნიეროდ, პირველივე თვეში გასაოცარი შედეგი გვქონდა.

გეგმით გათვალისწინებული მომდევნო აქტივობა იყო სეპარირებისათვის ურნების განთავსება. სკოლის ტერიტორიაზე განვათავსეთ ურნები მაკულატურისა და პლასტმასის ბოთლებისთვის, ხოლო საკლასო ოთახებში მოსწავლეების მიერ მუყაოს ყუთისგან დამზადებული ურნები მაკულატურისათის.

ასევე დაგეგმილი გვაქვს „ეკო მეგობარი“ აპლიკაციის შექმნა, რომელიც ამ ეტაპზე ვერ ხორციელდება, თუმცა რჩება მომავლის გეგმად.

გეგმით გაწერილ აქტივობებს შორისაა პოსტერების კონკურსი. ვაპირებთ გავიდეთ უფრო დიდ მასშტაბებზე და აღნიშნულ აქტივობაში ჩავრთოთ სხვა სკოლებიც. სხვადასხვა სკოლებიდან მოსწავლეები შექმნიან პოსტერებს გარემოს დაცვასთან დაკავშირებით, გამარჯვებული დაჯილდოვდება. აქტივობის განხორციელება იგეგმება მეორე სემესტრში.

რაც შეეხება დაუგეგმავ აქტივობებს, ერთ-ერთი ასეთია „ეკო-დერეფანი“. მოსწავლეებმა დახატეს ნახატები გარემოს დაცვასთან დაკავშირებით, რომლებითაც გავალამაზეთ დერეფანი მთელ სიგრძეზე. დაგეგმილია კლასებში საგნების მიხედვით გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გაკვეთილების და კლასის საათების ჩატარება, საგნობრივი პროექტების განხორციელება.